

შპს “ელიზი ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და მმართველობის
ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს “ელიზი ჯგუფი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9-30

მმართველობითი ანგარიში 31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელიზი ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელიზი ჯგუფი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალსა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითს შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას. (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („ბასს“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური ვალდებულებები პბეკ კოდექსის შესაბამისად. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესაბამისი რიცხვების გადაანგარიშებას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-10 შენიშვნაშია ნაჩვენები, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის დასრულებულ წლებში მარაგების 96%-ის შესყიდვა მოხდა 2 კონტრაგენტისგან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულთან არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ, ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ აღნიშნული სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება.

აღნიშნულ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით არა გვაქვს საკითხი, რომლის ანგარიშგებაა საჭირო.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოექცეს.

ხელმძღვანელობა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას; და
- მმართველობის ანგარიში მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით და შეესაბამება შესაბამის რეგულატორულ ნორმატიულ აქტებს.

1 ოქტომბერი 2025

შპს „აი.ჯი.ეფ“
მაკა აკოლაშვილი
გარიგების პარტნიორი

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას; და
- მმართველობის ანგარიში მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით და შეესაბამება შესაბამის რეგულატორულ ნორმატიულ აქტებს.
-

1 ოქტომბერი 2025

შპს „აი.ჯი.ეფ“
მაკა აკოლაშვილი
გარიგების პარტნიორი



შპს „ელიზი ჯგუფი“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		2,476	2,094	2,192
აქტივის გამოყენების უფლება		547	744	571
არამატერიალური აქტივები		77	85	92
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,100	2,923	2,855
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	100,082	108,251	93,485
დებიტორული დავალიანება	9	14,652	8,295	12,942
გადახდილი გადასახადები		-	3,463	1,993
დეპოზიტები ბანკში	8	28,783	26,894	41,531
შეზღუდული ფული	7	14,280	13,447	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	73,957	66,376	23,219
სხვა აქტივები		176	256	193
სულ მოკლევადიანი აქტივები		231,930	226,982	173,363
სულ აქტივები		235,030	229,905	176,218
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	11	197,758	173,998	153,987
სულ საკუთარი კაპიტალი		197,760	174,000	153,989
ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	13	382	590	432
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382	590	432
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი გადასახადები	12	6,731	-	-
მოკლევადიანი სესხები	13	14,080	50,214	16,965
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	13	227	194	208
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	15,850	4,907	4,624
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		36,888	55,315	21,797
სულ ვალდებულებები		37,270	55,905	22,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		235,030	229,905	176,218

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2023 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		2,476	2,094	2,192
აქტივის გამოყენების უფლება		547	744	571
არამატერიალური აქტივები		77	85	92
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,100	2,923	2,855
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	10	100,082	108,251	93,485
დებიტორული დავალიანება	9	14,652	8,295	12,942
გადახდილი გადასახადები		-	3,463	1,993
დეპოზიტები ბანკში	8	28,783	26,894	41,531
შეზღუდული ფული	7	14,280	13,447	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	73,957	66,376	23,219
სხვა აქტივები		176	256	193
სულ მოკლევადიანი აქტივები		231,930	226,982	173,363
სულ აქტივები		235,030	229,905	176,218
საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	11	197,758	173,998	153,987
სულ საკუთარი კაპიტალი		197,760	174,000	153,989
ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	13	382	590	432
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382	590	432
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი გადასახადები	12	6,731	-	-
მოკლევადიანი სესხები	13	14,080	50,214	16,965
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	13	227	194	208
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	15,850	4,907	4,624
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		36,888	55,315	21,797
სულ ვალდებულებები		37,270	55,905	22,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		235,030	229,905	176,218

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი


შპს „ელიზი ჯგუფი“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	15	672,949	474,656
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(550,352)	(388,724)
საერთო მოგება		122,597	85,932
ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(77,981)	(50,468)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	6,7,8,9	(785)	(759)
საპროცენტო შემოსავალი	18	9,231	8,071
საპროცენტო ხარჯი	13	(1,060)	(478)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		2,084	(86)
სხვა შემოსავალი		129	23
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		54,215	42,235
მოგების გადასახადის ხარჯი		(3,855)	(3,334)
წლის წმინდა მოგება		50,360	38,901
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		50,360	38,901

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	15	672,949	474,656
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(550,352)	(388,724)
საერთო მოგება		122,597	85,932
ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(77,981)	(50,468)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	6,7,8,9	(785)	(759)
საპროცენტო შემოსავალი	18	9,231	8,071
საპროცენტო ხარჯი	13	(1,060)	(478)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		2,084	(86)
სხვა შემოსავალი		129	23
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		54,215	42,235
მოგების გადასახადის ხარჯი		(3,855)	(3,334)
წლის წმინდა მოგება		50,360	38,901
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		50,360	38,901

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“


კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	2	153,987	153,989
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	38,901	38,901
გადახდილი დივიდენდები	-	(18,890)	(18,890)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	2	173,998	174,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	50,360	50,360
გადახდილი დივიდენდები	-	(26,600)	(26,600)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2	197,758	197,760

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი



კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს (გადაანგარიშებული)	2	153,987	153,989
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	38,901	38,901
გადახდილი დივიდენდები	-	(18,890)	(18,890)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს (გადაანგარიშებული)	2	173,998	174,000
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	50,360	50,360
გადახდილი დივიდენდები	-	(26,600)	(26,600)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2	197,758	197,760

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		50,360	38,901
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		3,855	3,334
ცვეთა და ამორტიზაცია	17	672	589
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	6,7,8,9	785	759
საპროცენტო შემოსავალი	18	(9,231)	(8,071)
საპროცენტო ხარჯი	13	1,060	478
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	17	27	17
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		(2,084)	86
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		8,142	(14,783)
ცვლილება სხვა აქტივებში		80	(63)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(6,558)	3,888
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		10,943	283
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		10,194	(1,470)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		68,245	23,948
მიღებული პროცენტები		9,319	8,071
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,855)	(3,334)
გადახდილი პროცენტები	13	(1,194)	(170)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		72,515	28,515
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(955)	(307)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		126	-
ცვლილება დეპოზიტში		(1,642)	14,637
(გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,471)	14,330
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	11	(26,600)	(18,890)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	13	(195)	(300)
მიღებული სესხები	13	14,000	50,000
სესხების დაფარვა	13	(50,000)	(16,965)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(62,795)	13,845
ნაშთი წლის დასაწყისში	6	66,376	23,219
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		7,249	56,690
სავალუტო კურსის ეფექტი		332	(86)
ნაშთის გადატანა შეზღუდულ ფულში		-	(13,447)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	6	73,957	66,376

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნდად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		50,360	38,901
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		3,855	3,334
ცვეთა და ამორტიზაცია	17	672	589
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	6,7,8,9	785	759
საპროცენტო შემოსავალი	18	(9,231)	(8,071)
საპროცენტო ხარჯი	13	1,060	478
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	17	27	17
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		(2,084)	86
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		8,142	(14,783)
ცვლილება სხვა აქტივებში		80	(63)
ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში		(6,558)	3,888
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		10,943	283
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		10,194	(1,470)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		68,245	23,948
მიღებული პროცენტები		9,319	8,071
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,855)	(3,334)
გადახდილი პროცენტები	13	(1,194)	(170)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		72,515	28,515
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(955)	(307)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		126	-
ცვლილება დეპოზიტში		(1,642)	14,637
(გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,471)	14,330
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	11	(26,600)	(18,890)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	13	(195)	(300)
მიღებული სესხები	13	14,000	50,000
სესხების დაფარვა	13	(50,000)	(16,965)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(62,795)	13,845
ნაშთი წლის დასაწყისში	6	66,376	23,219
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		7,249	56,690
სავალუტო კურსის ეფექტი		332	(86)
ნაშთის გადატანა შეზღუდულ ფულში		-	(13,447)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	6	73,957	66,376

ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს, შპს „ელიზი ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური დირექტორი

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელიზი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 1998 წლის 1 სექტემბერს საქართველო კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (204920381). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ.თამარაშვილის ქ., I შეს., N19.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა თამბაქოს იმპორტი და დისტრიბუცია. კომპანია ფლობს 15 საწყობს და 1 ადმინისტრაციულ ოფისს.

კომპანიის წილები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2022
ზაურ ელიზბარაშვილი	20%	20%	20%
გია ელიზბარაშვილი	20%	20%	20%
ზურაბ ზურაბიშვილი	20%	20%	20%
თორნიკე ელიზბარაშვილი	20%	20%	20%
ნათია აფხაიძე	10%	10%	10%
თენგიზ აფხაიძე	7%	7%	7%
ქეთევან მაღლაკელიძე	3%	-	-
ბესიკ აფხაიძე	-	3%	3%
სულ	100%	100%	100%

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა რაოდენობაა 160, 158 და 150, შესაბამისად.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბასსს-ის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ქვემოთ აღწერილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია თანმიმდევრულად ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც აქტივის მფლობელი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების მფლობელი გადაიხდიდა ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

თარიღისთვის. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და განმარტების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება განისაზღვრება ამგვარ საფუძველზე.

აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდით განხორციელებულ ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ფასს 2-ით, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც რეგულირდება ბასს 17-ით და იმ შეფასებებს, რომლებიც რეალური ღირებულების გარკვეულ მახასიათებლებს ამჟღავნებს, მაგრამ რეალური ღირებულება არ არის, როგორცაა წმინდა რეალიზებადი ღირებულება (ბასს 2) ან გამოყენებული ღირებულება (ბასს 36).

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად ხილული მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტები მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის ხილული არ არის.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, რაც გულისხმობს, რომ კომპანია საპროგნოზო მომავალში შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებასა და თავისი ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპროგნოზო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ამონაგები. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შემოსავალი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, მიუხედავად იმისა, როდის იქნება გადახდილი. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების საფუძველზე, რომელზეც კომპანია მოელის, რომ ექნება უფლება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით და გამორიცხავს მესამე მხარის სახელით შეგროვებულ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს პროდუქტსა ან

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

მომსახურებაზე. კომპანია თავის შემოსავალს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს, რათა დაადგინოს, მოქმედებს თუ არა როგორც პრინციპალი ან აგენტი.

კომპანია სიგარეტის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება. შემოსავალი მცირდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და მსგავსი შეღავათების შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავალი. კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაცვლითი კურსის სხვაობით ასახულია მოცემული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. ქვემოთ მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლით კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.81	2.93
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
გაცვლითი კურსი 2023 წლის 1 იანვარს	2.70	2.88

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ამოქმედებული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს ყველა სუბიექტისთვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა).

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც კავშირში არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც „გადასახადები და მოსაკრებლები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად,

აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზისი კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას და ბასს 12 - „მოგების გადასახადი“ სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელში აღარ მოქმედებს.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა 5-8 წელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გაუფასურების ზარალის შემდგომში აღდგენის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ ოდენობამდე იზრდება, მაგრამ ისე, რომ ახალმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რაც დადგინდებოდა, რომ არ მომხდარიყო აქტივზე (ან ფულის მომტან ერთეულზე) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, აქციზის, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

წინასწარ გადახდილი და გადასახდელი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, სავარაუდო ამოუღებელი ღირებულების ოდენობის რეზერვის გამოკლებით. გადასახადები მოგების გადასახადის გარდა აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ირიცხება საქართველოს საშემოსავლო სამსახურში, ერთ საგადასახადო ანგარიშზე. ანგარიშსწორება ხდება ნეტო საფუძველზე.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

რეზერვები. რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანიას უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა).

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება კაპიტალში, როგორც შემცირება მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო დღის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება როგორც შემდგომი მოვლენა და განიმარტება შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველის შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასებისას იზომება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა: ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში (FVTOCI):

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით (FVTPL).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველი აღიარებისას კომპანიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტილებები ფინანსური აქტივის საწყისი აღიარებისას:

- შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებით (FVTOCI) წარმოდგენილი სავალო ინსტრუმენტი შეუქცევადად დაადგინოს, როგორც მოგებაში ან
- ზარალში სამართლიანი ღირებულებით (FVTPL) ასახული, თუ ასეთი ქმედება მთლიანად აღმოჩენის ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდივნების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი თანხის გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყისი ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, დეპოზიტებს ბანკში, შეზღუდულ ფულსა და დებიტორულ დავალიანებას.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (მსზ) ყველა სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. კომპანია მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსზ არსებობის მანძილზე საფუძველზე. მიდგომა დაფუძნებულია ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე, რომელიც კორექტირდება დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საპროგნოზო ფაქტორებით.

კომპანია ფინანსურ აქტივს თვლის გადეფოლტებულად, როცა სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით ვადაგადაცილებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებითია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

შეზღუდული ფული. შეზღუდული ფული მოიცავს ისეთ ნაშთებს, რომლებიც არ შეიძლება გაიცვალოს ან გამოყენებული იქნას ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

დეპოზიტები ბანკში. ფულადი აქტივები, რომლებიც მოიცავს 3 თვეზე მეტი ვადის აქტივს, კლასიფიცირებულია, როგორც დეპოზიტები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსურ ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. შემდგომში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სესხები. მიღებული სესხები წარმოადგენს მოკლევადიან მიღებულ სესხებს. თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3 ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებასა ან წარდგენილ თანხებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები. ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაპენტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება. შესწორებებს არ ჰქონია რაიმე ზეგავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, რომელიც ლიკვიდობის დაცვითაა წარმოდგენილი.
შესწორებები	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 და ფასს

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

სტანდარტში ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სტანდარტში ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“	7 სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.
შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში	კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტში ფასს 16. ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულია, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას. შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შეიძლება ეღიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდებოდა ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული. შესწორებების ფარგლებში, ბასსს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლიდა და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება. გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ ფასს საბუღალტრო სტანდარტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ძალაში ჯერ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში არ დანერგილა შესაბამისი მხარეების მიერ:

ფასს ს1 - მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები	მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება
ფასს ს2 — კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები	კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები
SASB სტანდარტების ცვლილებები	SASB სტანდარტების ცვლილებები მათი საერთაშორისო გამოყენებადობის გასაუმჯობესებლად
შესწორება სტანდარტში ბასს 21	ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა
ფასს 18	ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას კართულ ლარში)

ხელმძღვანელობა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში,

4 კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდიფიცირება.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა დებიტორულ დავალიანებაზე შეადგინა 1,935 ლარი, 1,734 ლარი და 976 ლარი, შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულსა და ფულის ექვივალენტებზე, შეზღუდულ ფულსა და დეპოზიტებზე ბანკში აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 369 ლარის, 71 ლარისა და 144 ლარის ოდენობით, შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ამ ნაშთებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ აღიარებულა.

5 გადაანგარიშება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა შეცდომები წინა პერიოდებში გამოშვებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

ა) კომპანია აქციზის გადასახადს აღიარებდა აქციზური მარკების მიღების მომენტში და არა რეალიზაციის მომენტში. შესაბამისად, წლის ბოლოს არსებული აქციზური მარკების ნაშთების ღირებულება წარმოდგენილი იყო არა ნომინალური ღირებულებით, არამედ თითოეულ მარკაზე აქციზის ღირებულების საპირწონე თანხით. აღნიშნული შეცდომის შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით აქციზური მარკების ღირებულება არასწორად იყო გაზრდილი ნული და 6,888 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, წინა პერიოდების განმავლობაში დაზიანებული მარკების ღირებულებაც შესაბამისად არასწორად იყო ჩამოწერილი გაზრდილი თანხით. აღნიშნული შეცდომის შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

გაუნაწილებელი მოგება არასწორად იყო შემცირებული 10,153 ლარისა და 9,322 ლარის ოდენობით. 831 ლარი წარმოადგენს 2023 წლის აქციური მარკების ჩამოწერის თანხის კორექტირებას. ზემოთ მოცემული შეცდომების შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შემცირდა გადასახდელი გადასახადები და წარმოიქმნა გადახდილი გადასახადები 3,463 ლარისა და 1,993 ლარის ოდენობით.

ბ) კომპანიამ გაასწორა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის პრეზენტაციის კლასიფიკაცია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში და დაიწყო 759 ლარის ცალკე აღრიცხვა, როგორც ეს მოთხოვნილია ბას 1 „ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაციის“ მიხედვით.

კომპანიამ დააკორექტირა ეს შეცდომები იმ წინა პერიოდების შედარებითი თანხების ხელახალი დაზუსტებით, რომლებშიც მოხდა შეცდომები.

2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრით და ამავე თარიღებით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გადანაგარიშების ეფექტები იყო შემდეგი:

	წინა წელს წარდგენილი		ცვლილება		გადაანგარიშებული	
	31.12.2023	01.01.2023	31.12.2023	01.01.2023	31.12.2023	01.01.2023
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,923	2,855	-	-	2,923	2,855
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	108,251	100,373	-	(6,888)	108,251	93,485
გადახდილი გადასახადები	-	-	3,463	1,993	3,463	1,993
სხვა მოკლევადიანი აქტივები	115,268	77,885	-	-	115,268	77,885
სულ მოკლევადიანი აქტივები	223,519	178,258	3,463	(4,895)	226,982	173,363
სულ აქტივები	226,442	181,113	3,463	(4,895)	229,905	176,218
საკუთარი კაპიტალი						
საკუთარი კაპიტალი	2	2	-	-	2	2
გაუნაწილებელი მოგება	163,845	144,665	10,153	9,322	173,998	153,987
სულ საკუთარი კაპიტალი	163,847	144,667	10,153	9,322	174,000	153,989
ვალდებულებები						
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	590	432	-	-	590	432
მოკლევადიანი ვალდებულებები						
გადასახდელი გადასახადები	6,690	14,217	(6,690)	(14,217)	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	55,315	21,797	-	-	55,315	21,797
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	62,005	36,014	(6,690)	(14,217)	55,315	21,797
სულ ვალდებულებები	62,595	36,446	(6,690)	(14,217)	55,905	22,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	226,442	181,113	3,463	(4,895)	229,905	176,218

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

	წინა წელს წარდგენილი 2023	ცვლილება	გადაანგარიშებული 2023
შემოსავალი	474,656	-	474,656
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(388,724)	-	(388,724)
საერთო მოგება	85,932	-	85,932
ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი	(52,058)	1,590	(50,468)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	-	(759)	(759)
საპროცენტო შემოსავალი	8,071	-	8,071
საპროცენტო ხარჯი	(478)	-	(478)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	(86)	-	(86)
სხვა შემოსავალი	23	-	23
მოგება გადასახადით დაბეგრამდე	41,404	831	42,235
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,334)	-	(3,334)
წლის წმინდა მოგება	38,070	831	38,901

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	წინა წელს წარდგენილი 2023	ცვლილება	გადაანგარიშებული 2023
წლის მოგება	38,070	831	38,901
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	848	(831)	17
ცვლილება მარაგებში	(8,726)	(6,057)	(14,783)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(7,527)	6,057	(1,470)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	28,515	-	28,515

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ნაღდი ფული სალაროში	216	169	27
სადეპოზიტო სერტიფიკატები	5,070	-	-
მიმდინარე ანგარიშები რეზიდენტ ბანკში	69,040	66,207	23,192
გამოკლებული: მსზ	(369)	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	73,957	66,376	23,219

მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული ნაშთები არ არის ვადაგადაცილებული. ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომელთა უმეტესი ნაწილიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელვადიანი რეიტინგი). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარებულია რეიტინგებთან შესაბამისი მსზ განაკვეთით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშებზე დოლარში განთავსებულია 5,120 ლარის ოდენობის თანხები, რომელსაც ერიცხება წლიური 4% და ლარში განთავსებულია 43,184 ლარის ოდენობის თანხები, რომელსაც ერიცხება წლიური 8-11%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშებზე დოლარში განთავსებულია 1,120 ლარის ოდენობის თანხები, რომელსაც ერიცხება წლიური 3-4% და ლარში განთავსებულია 63,699 ლარის ოდენობის თანხები, რომელსაც ერიცხება წლიური 8-11.5%.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშებზე ლარში განთავსებულია 95 ლარის ოდენობის თანხები, რომელსაც ერიცხება წლიური 8-10.5%.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

2024 წელს კომპანიამ იყიდა დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატები წლიური 11.25%-ით, რომლის დახურვის ვადაა 2025 წლის თებერვალი. დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატების საკონტრაქტო ვადა სამ თვეზე ნაკლებია, შესაბამისად, კლასიფიცირებულია როგორც ფული და ფულის ექვივალენტები.

7 შეზღუდული ფული

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
შეზღუდული ფული	14,351	13,447	-
გამოკლებული: მსზ	(71)	-	-
სულ	14,280	13,447	-

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეზღუდული ფული წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის მიზნით დოლარში განთავსებულ დეპოზიტს წლიური 4.5% საპროცენტო განაკვეთით (იხ. შენიშვნა 13). აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე აქტივი, ვინაიდან დეპოზიტისა და მასთან დაკავშირებული სესხის საკონტრაქტო ვადა ორივე შემთხვევაში არ აღემატება ერთ წელს.

შეზღუდული ფული განთავსებულია ბანკში, რომელიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელევადიანი რეიტინგი). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარებულია რეიტინგთან შესაბამისი მსზ განაკვეთით.

8 დეპოზიტები ბანკში

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
დეპოზიტები ბანკში	28,927	26,894	41,531
გამოკლებული: მსზ	(144)	-	-
სულ დეპოზიტები ბანკში	28,783	26,894	41,531

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ვადიანი ანაზრები განთავსებულია დოლარში ადგილობრივ კომერციულ ბანკებში. ანაზრები კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი ფინანსური აქტივები, ვინაიდან მათი საკონტრაქტო ვადა არ აღემატება ერთ წელს. ვადიან ანაზრებს ერიცხება წლიური 4%-4.5% საპროცენტო განაკვეთი.

ვადიანი ანაზრები განთავსებულია ბანკებში, რომელთა უმეტესი ნაწილიც Fitch Ratings- ის მიერ შეფასებულია, როგორც B (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- (გრძელევადიანი რეიტინგი). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარებულია რეიტინგებთან შესაბამისი მსზ განაკვეთით.

9 დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო მოთხოვნები	16,582	10,024	13,912
სხვა მოთხოვნები	5	5	5
გამოკლებული: მსზ	(1,935)	(1,734)	(975)
სულ დებიტორული დავალიანება	14,652	8,295	12,942

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და ლიკვიდაციიდან მოსალოდნელი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. კომპანია ამ ნაშთებზე რაიმე სახის უზრუნველყოფას არ ფლობს. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტურის ბაზა მსხვილია და ერთმანეთთან არა დაკავშირებული.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს იყენებს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნისთვის.

ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2024 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილ ებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	14,825	21	142	1,599	16,587
დეფოლტისას, სულ	(292)	(2)	(42)	(1,599)	(1,935)
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	2%	10%	30%	100%	12%
31 დეკემბერი 2023 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილ ებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	8,424	30	25	1,550	10,029
დეფოლტისას, სულ	(169)	(3)	(12)	(1,550)	(1,734)
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	2%	10%	30%	100%	17%
1 იანვარი 2023 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილ ებელი	30 დღემდე ვადაგადაცილება	31-90 დღის ვადაგადაცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება	12,174	170	13	1,560	13,917
დეფოლტისას, სულ	(48)	(1)	(2)	(924)	(975)
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	2%	10%	30%	100%	7%

მოდრობა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ასეთია:

	31.12.2024	31.12.2023
ნაშთი წლის დასაწყისში	1,734	975
გაუფასურების რეზერვი	201	759
ნაშთი წლის ბოლოს	1,935	1,734

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

10 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023 (გადაანგარიშებული)	31.12.2022 (გადაანგარიშებული)
სიგარეტი	99,430	108,035	93,475
აქციური მარკები	652	216	10
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	100,082	108,251	93,485

2024 და 2023 განმავლობაში მარაგებთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 550,711 ლარი და 389,572 ლარი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლის განმავლობაში მარაგები 96%-ის შესყიდვა მოხდა 2 კონტრაგენტისგან.

11 გაუნაწილებელი მოგება

2024 და 2023 წელს კომპანიის მფლობელებზე გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები იყო 26,600 ლარი და 18,890 ლარი, შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 197,758 ლარს, 173,998 ლარსა და 153,987 ლარს, შესაბამისად.

12 გადასახდელი გადასახადები

2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით ყველა საგადასახადო გადასახდელი უნდა აღირიცხოს ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება (აქციზი, დღგ და სხვა გადასახადები) და საგადასახადო აქტივი, მოგების გადასახადის აქტივის გარდა, წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია არის "ოქროს სიის" მონაწილე, შესაბამისად სარგებლობს გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული ვადით.

13 მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	ფიქსირებული /ცვლადი	საპროცენტო გაკვეთი	დაფარვის ვადა	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები	ლარი	ფიქსირებული	9.5-13%	2024-2025	14,080	30,623	16,965
კომერციული ბანკებიდან მიღებული სესხები	ლარი	ცვლადი	რეფ+3%	2024	-	19,591	-
სულ მოკლევადიანი სესხები					14,080	50,214	16,965

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში სესხისა და საიჯარო ვალდებულების მოძრაობა შემდეგი იყო:

31.12.2024	ბალანსი წლის დასაწყისში	ახალი კონტრაქტები	შეწყვეტა	დარიცხული პროცენტი	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	31.12.2024
მოკლევადიანი სესხები	50,214	14,000	-	955	(1,089)	(50,000)	14,080
საიჯარო ვალდებულებები	784	40	(20)	105	(105)	(195)	609

31.12.2023	ბალანსი წლის დასაწყისში	ახალი კონტრაქტები	მოდიფიკაცია	დარიცხული პროცენტი	პროცენტის გადახდა	ძირის გადახდა	31.12.2023
მოკლევადიანი სესხები	16,965	50,000	-	384	(170)	(16,965)	50,214
საიჯარო ვალდებულებები	640	-	350	94	(300)	-	784

აღებული სესხების მოძრაობა დაკავშირებულია ბანკებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით მოკლე ვადით აღებულ და გადახდილ თანხებთან, რომელთა მიზანი კომპანიის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებაა. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კოვენანტები არ არის დარღვეული.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაურღვევია საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილია ანაზრით (იხ. შენიშვნა 7). აღნიშნული სესხებისა და უზრუნველყოფის საკონტრაქტო ვადა არ აღემატება ერთ წელს.

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მარკეტინგული მომსახურების გადასახდელები	15,554	4,625	4,443
სავაჭრო ვალდებულებები	1	53	1
სხვა ვალდებულებები	295	229	180
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,850	4,907	4,624

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მარკეტინგული მომსახურების გადასახდელები წარმოადგენს სიგარეტის ბრენდების ოფიციალური საქართველოში შემოღების მიმართ არსებულ ვალდებულებებს. აღნიშნული გადასახდელები დაკავშირებულია აღნიშნული ბრენდების პოპულარიზაციისთვის გაწეულ მომსახურებასთან (იხ. შენიშვნა 17).

კომპანიას არ აქვს ვადაგადაცილებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. აღნიშნული ვალდებულებები, როგორც წესი, გადაიხდება 30–60 დღეში.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

15 შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის მთლიანი შემოსავლის 100% მიღებული იქნა სიგარეტის გაყიდვებიდან 672,949 ლარისა და 474,656 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

16 რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულება სრულად შედგებოდა სიგარეტებისგან და შეადგინა შესაბამისად 550,352 ლარი და 388,724 ლარი.

ამავე პერიოდში, თამბაქოს პროდუქტების შესყიდვების 96% განხორციელდა ორი ძირითადი მომწოდებლისგან.

17 ადმინისტრაციული, გაყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2024	2023 (გადაანგარიშებული)
მარკეტინგის მომსახურება	69,028	43,821
შრომის ანაზღაურება	6,260	4,819
ცვეთა და ამორტიზაცია	672	589
გაყიდვის და რეკლამის ხარჯები	353	196
მოკლევადიან იჯარებთან და დაბალი ღირებულების აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	241	20
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა	27	17
სხვა ხარჯები	1,400	1,006
სულ ადმინისტრაციული, გაყიდვის და სხვა საოპერაციო ხარჯი	77,981	50,468

18 საპროცენტო შემოსავალი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი ფული და ფულის ექვივალენტები	7,753	6,408
საპროცენტო შემოსავალი შეზღუდულ ფულზე	317	288
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებზე	1,161	1,375
სულ საპროცენტო შემოსავალი	9,231	8,071

19 ფინანსური რისკების მართვა

სამართლიანი ღირებულების შეფასება. სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით:

(1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება - მესამე დონის მონაცემებით.

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საკრედიტო რისკი, საპროცენტი განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური აქტივები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	73,957	66,376	23,219
შეზღუდული ფული	14,280	13,447	-
დეპოზიტები ბანკში	28,783	26,894	41,531
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,652	8,295	12,942
სულ ფინანსური აქტივები	131,672	115,012	77,692

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,850	4,907	4,624
საიჯარო ვალდებულება	609	784	640
მოკლევადიანი სესხები	14,080	50,214	16,965
სულ ფინანსური ვალდებულებები	30,539	55,905	22,229

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება ქვეყანაში არსებული ბიზნეს ან იურიდიული გარემოს გაუარესების რისკებს.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება და ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიისთვის არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი უკვე დაფიქსირებული რეზერვების მიღმა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	0	0-30	30-60	61-90	90+
ვადაგადაცილების პროცენტულობა	2%	10%	20%	50%	100%

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ის რისკი, რომელიც მცურავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისას უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკის ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან კომპანიის თანხები ნასესხები მოკლევადიანია. (იხ. შენიშვნა 13).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით. ასევე ნაჩვენებია მათი მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

ფინანსური აქტივები აშშ დოლარში	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	5,096	1,121	4,440
შეზღუდული ფული	14,280	13,447	-
დეპოზიტები ბანკში	28,783	26,894	40,530
სულ	48,159	41,462	44,970
წმინდა პოზიცია	48,159	41,462	44,970

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებები.

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31.12.2024	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება	9,632
აშშ დოლარის 20%-თ გაუფასურება	(9,632)
31.12.2023	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება	8,292
აშშ დოლარის 20%-თ გაუფასურება	(8,292)
01.01.2023	ზეგავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 20%-თ გამყარება	8,994
აშშ დოლარის 20%-თ გაუფასურება	(8,994)

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31.12.2024	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ	საბალანსო ნაშთი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,850	-	15,850	15,850
საიჯარო ვალდებულება	316	444	760	609
მოკლევადიანი სესხები	14,194		14,194	14,080
სულ ვალდებულებები	30,360	444	30,804	30,539

31.12.2023	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ	საბალანსო ნაშთი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,907	-	4,907	4,907
საიჯარო ვალდებულება	299	707	1,006	784
მოკლევადიანი სესხები	52,548	-	52,548	50,214
სულ ვალდებულებები	57,754	707	58,461	55,905

01.01.2023	1 წელზე >	1 წლიდან 5 წლამდე	სულ	საბალანსო ნაშთი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,624	-	4,624	4,624
საიჯარო ვალდებულება	299	583	882	640
მოკლევადიანი სესხები	17,213	-	17,213	16,965
სულ ვალდებულებები	22,136	583	22,719	22,229

კაპიტალის მართვა. კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამო.

20 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვანი სასამართლო განხილვის პროცესში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ადგილი არ ექნება რაიმე არსებითი დაუფარავი ზარალის წარმოშობას და, შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იქნება გათვალისწინებული რაიმე რეზერვი.

გადასახადები. მოქმედი საგადასახადო რეგულაციები ხშირად იცვლება და ბევრი პრეცედენტი არ არსებობს. ამის გამო საგადასახადო რისკები საქართველოში შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება მეტად სხვადასხვა რისკებით, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები. ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რამაც გამოიწვია ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიანი ომი. ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსეთის და მისი მოქალაქეებისა თუ კომპანიების წინააღმდეგ. ამან გამოიწვია რუსული რუბლის შესუსტება, რუსეთის ეკონომიკის რეცესია და სხვა უარყოფითი შედეგები. ამ ეტაპზე აღნიშნულ მოვლენებს არ აქვს გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

21 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, კომპანიის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პერსონალის შემადგენლობას. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები შესაძლოა არ განხორციელდეს იგივე პირობებით, რაც არადაკავშირებულ მხარეებს შორის არის.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

ნაშთები:	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
საიჯარო ვალდებულება	422	551	524
- მფლობელი	353	452	488
- სხვა დაკავშირებული მხარე	69	99	36

შპს „ელიზი ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

ტრანზაქციები:	31.12.2024	31.12.2023
საპროცენტო ხარჯი	79	80
- მფლობელი	68	76
- სხვა დაკავშირებული მხარე	11	4

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2024 და 2023 წელს შეადგინა 202 ლარი და 193 ლარი შესაბამისად.

22 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 21,475 ლარის დივიდენდები.

2025 წელს კომპანიამ საკონტრაქტო ვადის გასვლის შემდგომ თავიდან განათავსა 15,000 აშშ დოლარის ოდენობის მოკლევადიანი დეპოზიტები.



შპს „ელიზი ჯგუფი“

მმართველობის ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024



კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ელიზი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 1998 წლის 1 სექტემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ.თამარაშვილის ქ., I შეს., N19.

კომპანიის შექმნის ძირითადი მიზანია დამფუძნებელთა და თავის მუშაკთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, საქართველოს მოსახლეობისა და იურიდიული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვადასხვა სახის საქონელზე და მომსახურებაზე და ამ საქმიანობით მოგების მიღება.

კომპანიის საქმიანობის სფეროა თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას

კომპანიას 2024 წელს არ უწარმოებია რაიმე ტიპის კვლევა, გარდა სიგარეტის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისა.

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია შედგება ცენტრალური და რეგიონული ფილიალებისგან (საწყობები). 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 15 საწყობს და 1 ადმინისტრაციულ ოფისს თბილისში.

ცენტრალური ფილიალები *(საწყობები):* თბილისი; ბათუმი;
რეგიონული ფილიალები *(საწყობები):* თბილისი; ქუთაისი; ბათუმი; გორი; ხაშური; ახალციხე; რუსთავი; ზუგდიდი; ფოთი; გურჯაანი;

კომპანია ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან და დისტრიბუციას საქართველოს ყველა რეგიონში. დისტრიბუცია ხორციელდება კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლების მიერ, კომპანიის კუთვნილი ავტომანქანების (ბორტების) მეშვეობით. დისტრიბუცია ხორციელდება ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. *(თითოეულ ბორტს განსაზღვრული აქვს კონკრეტული სამოქმედო ტერიტორია და შესაბამისი სავაჭრო წერტილები).* საქმიანობის სრულყოფილად მართვისა და კონტროლის მიზნით, კომპანიაში დანერგილია დისტრიბუციის სპეციალური ელექტრონული პროგრამა „APEX”.



საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიამ სიგარეტების რეალიზაციიდან 2024 წელს მიიღო 672,949 ლარის შემოსავალი (2023: 474,656). საერთო მოგების მარჟიანობა უცვლელია და შეადგენს 18%-ს როგორც 2024, ასევე, 2023 წლისთვის. უკუგება აქტივებზე 2024 წლისთვის შეადგენს 21%-ს (2023: 17%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს აღემატება 6ჯერ (2023: 4ჯერ).

კომპანია მარკეტინგულ საქმიანობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ახორციელებს პარტნიორ კომპანია ჯაპან ტობაკო ინტერნეიშნელის მეშვეობით. კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 158, რომელთა მეშვეობით 55 ავტომატურად ემსახურება საქართველოს ყველა რეგიონს. კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პრინციპებზე.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს კომპანიის საქმიანობას.

კომპანიის სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორთა კრება ირჩევს დირექტორს (დირექტორებს), რომლებსაც ეკისრებათ კომპანიის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე, აგრეთვე ორგანიზებას უწევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს. დირექტორი უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაამტკიცოს კომპანიის ნორმატიული დოკუმენტები და საშტატო განრიგი, მიიღოს და გაანთავისუფლოს სამუშაოდან თანამშრომლები, წახალისოს ან დასაჯოს ისინი კომპანიაში არსებული შინაგანაწესის შესაბამისად.

კომპანიის შინაგანაწესის მიზანია შპს „ელიზი ჯგუფი“-ს დებულების შესაბამისად განსაზღვროს სამსახურის ფუნქციონირების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, დასაქმებულის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი უფლებები და მასზე დაკისრებული მოვალეობები.

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა ფინანსური დარღვევების გამოვლინებას, გამოვლენილია რამოდენიმე ასეთი დარღვევა-დანაშაული და საქმეები გადაცემულია ფინანსურ პოლიციაში. დანაშაულის პრევენციის მიზნით მაქსიმალურად არის გამარტივებული და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ფინანსებზე და კომპანიის კუთვნილი თანხების ჩარიცხვაზე.

კომპანია მუდმივად აახლებს თავის ავტოპარკს, რაც საშუალებას აძლევს დისტრიბუციაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას.

სახელმწიფოს მხრიდან თამბაქოს ნაწარმზე კანონების გამკაცრება და აქციზების ფასების პერიოდული ზრდა შესაბამისად იწვევს გასაყიდი პროდუქციის ღირებულების ზრდასაც, რაც ნეგატიურად აისახება კომპანიის ფინანსურ შემოსავლებზე. ამიტომ კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად მოწვეულ სპეციალიტებთან ერთად ატარებს თანამშრომელთა გადამზადებასა და ტრენინგებს ახალ რეალობასთან ადაპტირებისათვის და დისტრიბუციის პროცესის სრულყოფისათვის.



კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი; •
საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში (N19).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.



სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში (N19).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში (N19).

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

თეიმურაზ ნადირაშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

1 ოქტომბერი 2025

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

1 ოქტომბერი 2025



სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუთრივ სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუთრივ სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს. ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში (N19).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით. ანალიზი საპროცენტო განაკვეთის რისკების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შეიშვნებში (N19).

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

თეიმურაზ ნადირაშვილი
ადმასრულებელი დირექტორი

1 ოქტომბერი 2025

კარინა კარაკოზოვა
ფინანსური ჯგუფის მენეჯერი

1 ოქტომბერი 2025